



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეთერ მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

ანნა ბედენაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
ლელა გორდულაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნანა მარღანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
სოფიო მურუსიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ეკა მოსიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
სალომე გოგალაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ლია ცერცვაძე - ცუცქირიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნათია ორმოცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,
წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223104405

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი იდუმალა
ფაქტობრივი მისამართი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი იდუმალა
საფოსტო ინდექსი	0500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	idumala@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591953812

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 24 0000625049 05/06/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	04 და 05 ივლისი 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელი იდუმალა 2 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელი იდუმალა 2 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 05 ივნისის MES 7 24 0000625049 ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2024 წლის 04 და 05 ივლისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლაში. მისამართი; ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი იდუმალა). ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განსაზღვრა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის საგნობრივი ექსპერტი გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას და დამატებით გამოითხოვა ის დოკუმენტები, რომლებიც საჭირო იყო სკოლისთვის ავტორიზაციის მეორე სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაწყებით საფეხურზე. მონაწილეობა მიიღო ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრებში, სადაც კოლეგა ექსპერტებთან ერთად იმსჯელა სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით სკოლის საერთო სურათზე, დაგეგმა ვიზიტის განრიგი. 4 ივლისს საგნობრივ ექსპერტებთან (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და საზოგადოებრივი მეცნიერებები) დაესწრო შეხვედრას და წარმართა ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის შესაბამისი საგნების პედაგოგებთან. მისცა რჩევები და კიდევ გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც მიაწოდეს ვიზიტის დასრულებამდე. გაეცნო ამ დოკუმენტაციასაც, რომ სრული წარმოდგენა შექმნოდა აღნიშნული სკოლის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაზე, ვიზიტის მეორე დღეს მონაწილეობა მიიღო საავტორიზაციო ჯგუფის შემაჯამებელ შეხვედრაში. გაეცნო საგნობრივი ექსპერტების მიერ გადმოგზავნილ საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმებს, მოახდინა მათი რევიზია დაწყებითი კლასების სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, ბუნებისმეტყველებაში მისი და საგნობრივი ექსპერტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რჩევის სახით მიეცა სკოლას კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკების შექმნისას გაითვალისწინოს დავალების პირობას დართული კითხვები, ასევე თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები ცნებების მიხედვით. ასევე, მათემატიკის I კლასისა და III კლასის განმავითარებელ შეფასებებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ

შეფასებები წარმოდგენილია ზოგადი სახით, უნდა იყოს მორგებული კონკრეტულ საკითხზე და სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით იკვეთებოდეს შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. საბოლოოდ შეჯერდა საგნობრივი კურიკულუმების შეფასებაზე საგნობრივ ექსპერტებთან, რაც აისახა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმებში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა, არაფორმალური განათლების კუთხით, აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, სპორტულ აქტივობებში ჩართულობით ეწევა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით უცხო ენებს - გერმანულ და რუსულ ენებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----80-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, I საფეხური (I – VI კლასები) სრულ შესაბამისად შეფასდა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, II საფეხური (VII –IX კლასები) სრულ შესაბამისად შეფასდა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (16.04.2025 წ) უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და შენობის კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულები შემთხვევაში);	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რჩევა: განსაზღვროს მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რჩევა: დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	სკოლას მიეცა რჩევა: დანიშნოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.



	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა: დანიშნოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.
ინდიკატორი N 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა: განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შენობის აზომვითი ნახაზი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
N2.1.2.1. N2.1.2.2.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმში (II კლასი) ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს კომპლექსური დავალების იდეა და საკითხი. IV კლასის კურიკულუმში თემები სასურველია



	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	შეუსაბამოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო/სარეკომენდაციო თემებს.
N2.1.2.1. N2.1.2.2.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ესთეტიკის კათედრას მიეცა რჩევა: ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში, თემების მიხედვით, კომპლექსური დავალებების რაოდენობა გაიზარდოს; გაიწეროს კომპლექსური დავალებების დამუშავების ეტაპები. თემის , საკითხის და შედეგების ურთიერთკავშირი განიხილოს სხვადასხვა საგნებთან კავშირში.
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: ბუნებისმეტყველების კურიკულუმში კლასების მიხედვით ყველა თემაში განისაზღვროს არანაკლებ 1 შუალედური მიზანი. სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმში თითოეული თემისთვის განსაზღვროს ჯამური საათობრივი დატვირთვა. სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მოცემული ყველა შუალედური მიზნისათვის სასწავლო პროცესის განმავლობაში განისაზღვროს ნაბიჯები და აქტივობები.
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში დაფიქსირდეს ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო აღჭურვილობის ნუსხა. სასურველია, ყველა კლასისთვის საგნობრივ კურიკულუმით განისაზღვროს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები (არამხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო).



N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმში (მაგ. V კლ.) გეომეტრიულ საკითხებში კონკრეტულად იყოს მითითებული მატერიალურ რესურსთა ჩამონათვალი. მაგ.: ტრანსპორტირი, სახაზავი, ფარგალი, სივრცითი თუ ბრტყელი ფიგურების მოდელები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს დაგეგმილ აქტივობებში. მითითებული რესურსთა ჩამონათვალი ზოგადი სახისაა.
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკის კათედრას მიეცა რჩევა: მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები.
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დააღაგონ კლასების, თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენონ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. ასევე, დამატებით რესურსად გამოიყენონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა.
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: საგნობრივ კურიკულუმში საბოლოო პროდუქტის მოსწავლეებისთვის შეთავაზებისას გაითვალისწინონ დიფერენცირებული მიდგომა . მაგ:მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , მოსწავლეებს მიეცემათ არჩევანის საშუალება.
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმით განისაზღვროს მრავალფეროვანი რესურსები და კომპლექსური დავალების პირობაში პროდუქტის სახით მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანი.



N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სამომავლოდ თემების მიხედვით შექმნით შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას მიეცა რჩევა: მასწავლებლებმა შექმნან მოსწავლეზე მორგებული განმავითარებელი შეფასება, გაწერონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და კონკრეტული საკითხი, სადაც სჭირდება მოსწავლეს ცოდნის გაღმავება-გაუმჯობესება.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სპორტის კათედრას მიეცა რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია შემაჯამებელი დავალებები გაანალიზონ არამხოლოდ სემესტრის ბოლოს.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკის კათედრას მიეცა რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში;
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკის კათედრას მიეცეს რჩევა: I კლასისა და III კლასის განმავითარებელი შეფასებები წარმოდგენილია ზოგადი სახით, უნდა



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	იყოს კონკრეტულ აქტივობაზე მორგებული და მკვეთრად ორიენტირებული სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე.
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცეს რჩევა: კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკების შექმნისას გაითვალისწინოს დავალების პირობას დართული კითხვები, ასევე თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები ცნებების მიხედვით.
N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას მიეცა რჩევა: მასწავლებლებმა მოახდინონ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული რესურსების ხშირი გადახედვა, რადგან https://school.emis.ge/ მუდმივად განახლებადი საიტია.
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, განსაზღვროს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი და სასკოლო სასწავლო გეგმას დაურთოს დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი
N2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას მიეცა რჩევა: ტექნოლოგიების საგნის და სხვა საგნის მასწავლებლებმა დააორგანიზონ ერთმანეთთან ხშირი თანამშრომლობა, შედეგების წარდგენა და ერთობლივი პროექტების განხორციელება.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1. N2.1.2.2.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: საკითხის და შედეგების ურთიერთკავშირი განიხილოს სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინებთან კავშირში.
ინდიკატორი N2.1.2.1. N2.1.2.2.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: კლასების მიხედვით ყველა თემაში განსაზღვროს არანაკლებ 1 შუალედური მიზანი.
N2.1.2.1. N2.1.2.2.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ესთეტიკის კათედრას მიეცა რჩევა: ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში, თემების მიხედვით, კომპლექსური დავალებების რაოდენობა გაიზარდოს; გაიწეროს კომპლექსური დავალებების დამუშავების ეტაპები. თემის , საკითხის და შედეგების ურთიერთკავშირი განიხილონ სხვადასხვა საგნებთან კავშირში.



N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმში თითოეული თემისთვის განსაზღვროს ჯამური საათობრივი დატვირთვა. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული ყველა შუალედური მიზნისათვის სასწავლო პროცესის განმავლობაში განისაზღვროს ნაბიჯები და აქტივობები.
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს საბაზო საფეხური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: კურიკულუმში ყველა თემისთვის განსაზღვროს დათმობილი საათების რაოდენობა. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული ყველა შუალედური მიზნისათვის განისაზღვროს ნაბიჯები და აქტივობები სასწავლო პროცესის განმავლობაში.
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკის კათედრას მიეცა რჩევა: მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები.
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმებში დაფიქსირდეს ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო აღჭურვილობის ნუსხა. სასურველია, ყველა კლასისთვის ყველა საგნის კურიკულუმში განისაზღვროს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. (არამხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო).
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა: კურიკულუმში მითითებული სასწავლო ელექტრონული რესურსი შერჩეული იყოს თემისა და აქტივობების შესაბამისად, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი შედეგის



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მიღწევა. მაგ.: VII კლ. კურიკულუმში თემა - გეომეტრიული ფიგურები. მითითებული ელექტრონული რესურსი შეუსაბამოა.
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმით ყველა თემისთვის (არამარტო შუალედური მიზნებისთვის) განსაზღვროს მრავალფეროვანი რესურსები, ასევე კომპლექსური დავალების პირობაში პროდუქტის სახით მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანი.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სპორტის კათედრას მიეცა რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია შემაჯამებელი დავალებები გაანალიზონ არამხოლოდ სემესტრის ბოლოს.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკის კათედრას მიეცა რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში;
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცეს რჩევა: კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკების შექმნისას, სასურველია, ყოველთვის გაითვალისწინონ დავალების პირობას დართული კითხვები, ასევე თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები ცნებების მიხედვით.
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა: წარმოდგენილ VII კლასის N3 შემაჯამებლის ანალიზში წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმებს სასურველია, თან ერთვოდეს კონკრეტული დავალებები, რადგან



		შეფასება იყოს გასაგები და ვალიდური. ასევე სასურველია, იყოს სამიზნე ცნებები სტანდარტის მიხედვით უფრო კონკრეტული შესაბამისი ინდიკატორით.
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, განსაზღვროს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი და სასკოლო სასწავლო გეგმას დაურთოს დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლას, მისია დეკლარირებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შესძინოს თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც 2023 წლის 05 სექტემბერს შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს N 1 სხდომაზე და დამტკიცებულია 2023 წლის 07 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს (ოქმი №1) სხდომაზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობასა და თანხვედრაში იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიდგომებთან.

სასკოლო საზოგადოება მიიჩნევს, რომ საჭიროა სკოლის მისიისა და ხედვის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში კი ცვლილებების შეტანა. სკოლაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიისა და ხედვის განახლებული ფორმით შემუშავებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია მშობელთა ჩართულობისა და თემთან ურთიერთობის გაზრდა. სკოლაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლის ექთანი, საჭიროების შემთხვევაში, უწევს პრველად დახმარებას. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და გასასვლელის აღმნიშვნელები.

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში შეიქმნა და დირექტორის 30.10.2023 წლის N 66/2 ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც გაწერილი სამუშაო გრაფიკის მიხედვით შეიმუშავებს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ჯგუფი, შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართავს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს, გათვალისწინებული იქნება მათი მოსაზრებები. დოკუმენტის საბოლოო სახეს კი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლამ გადაწყვიტა გარკვეული ცვლილებების შეტანა უკვე არსებულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებში, ამისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აწარმოებს შეხვედრებს და გამოკითხვებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან. გარდა ამისა, სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების ბეჭდური მასალები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირათათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე განთავსებულია სკოლის საჯარო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით. სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება;
- VIII კლასის 18.09.2023 წლის მშობელთა კრების ოქმი N 1;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ვებ-გვერდის მისამართი: [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](#)
- სკოლის დირექტორის 30.10.2023 წლის N 66/2 ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 09 სექტემბრის № 1 ოქმით. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების გამოცდილება. SWOT ანალიზის გამოყენებით სკოლა განსაზღვრავს სუსტ და ძლიერ მხარეებს, მიღებული ინფორმაციის



გათვალისწინებით ადგენს საჭიროებებს. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის სკოლის დირექტორის 17.05. 2024 წლის N 35 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები არიან:

- სკოლის დირექცია;
- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- სამეურვეო საბჭო;
- თემი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს გაზიარების მექანიზმებს. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სკოლის ვებ-გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას და ბეჭდურ მასალებს.

აღნიშნულ მეთოდოლოგიაში მოცემული ნაბიჯები სკოლას მისცემს შესაძლებლობას სწორად გაანალიზოს არსებული მდგომარეობა, გაითვალისწინოს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები და განსაზღვროს სკოლის პრიორიტეტები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით ხდება საჭიროებების გამოვლენა. სკოლის განვითარების სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის

დოკუმენტის მიხედვით, 2024 წლის 17 მაისის N35 ბრძანების დანართი N1-ით, დგინდება რომ ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი მოახდენს სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედურ და საბოლოო მონიტორინგს, რომლის საფუძველზეც მოხდება აღნიშნული დოკუმენტის რევიზია. ვიზიტის დროს სამუშაო ჯგუფს არ ჰქონდა დასრულებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებია:

- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- არაფორმალური განათლების გაძლიერება;
- ციფრული ტრანსფორმაცია;
- მონიტორინგი და შეფასება.

თითოეულ სტრატეგიულ მიზანს, განსაზღვრული აქვს მიზნის მისაღწევი გზები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N 1 ოქმით დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმის მიხედვით გამოყოფილი აქვთ 9 პრიორიტეტული მიზანი:

- სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
- სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივად განვითარება და აღჭურვა;
- ნაწილობრივ სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
 - მონიტორინგი და შეფასება.
- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები / სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N 1 ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 მაისის N35 ბრძანება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის N 66/2 ბრძანება;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ, აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოდგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. მეთოდოლოგიაში მითითებულია სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, ასევე სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის N 66/2 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმლის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული - ეს კონკრეტული ჯგუფი მისია / ღირებულებებისა და ხედვის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფია თუ კონკრეტულად სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი. სკოლას მიეცა რჩევა: განსაზღვროს მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის.

ინდიკატორი არ ფასდება.

3. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ არის ცნობილი, შესაბამისად ვერ განისაზღვრა მისი საჯაროობა.

ინდიკატორი არ ფასდება.

4. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განსაზღვრული, შესაბამისად სკოლის შემდგომი განვითარებისათვის ვერ გამოიყენება.

ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 მაისის N35 ბრძანება;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის N 66/2 ბრძანება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცია მოვალეობების აღმწერ დოკუმენტში ვხვდებით სკოლაში მოქმედ სტრუქტურული ერთეულების / პირების გაწერილ ფუნქციებს. ასევე სკოლა ხელშეკრულებით არეგულირებს დასაქმებული პირების ფუნქციებს, რომელიც რეგულირდება სამტატო განრიგითა და დირექტორის ბრძანებით.

დასაქმებული თანამშრომლების სამტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის სამტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, დარაჯები და დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის მიერ, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool-ის ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს

შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან. მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცია მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- 2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N 66 „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ“;
- საშტატო განრიგი;
- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცედურები რეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, საშტატო განრიგით, საათობრივი ბადით, შინაგანაწესით. თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. კანონმდებლობიდან გამომდინარე თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შრომით ხელშეკრულებაზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამოცანებს, მართვის სტრატეგიას, კადრების მოზდვისა და შერჩევის სტრატეგიას, მასწავლებლის მიღების წესს, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, გაწეული სამუშაოს შეფასების ეტაპებს, პროფესიული განვითარების ეტაპებს, თანამშრომელთა ინიციატივების წახალისებასა და მოტივაციას.

ვინაიდან სკოლა მცირერიცხოვანია, საშტატო განრიგით არ აქვს დამტკიცებული დირექტორის მოადგილის, ბიბლიოთეკარის, საინფორმაციო მენეჯერის და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის შტატი. აღნიშნულ პოზიციებზე დირექტორის ბრძანებით დასაქმებულნი არიან სკოლის პედაგოგები, რომელთაგანაც დამატებით არის გაფორმებული პოზიციის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში სრულად არის გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო ანაზღაურების გრაფაში მითითებულია 0 (ნული) ლარი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდაჭერი ღონისძიებები.



კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ, არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. **სკოლას მიეცა რჩევა** დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge / teachersjobs.ge. ([მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდი \(teacherjobs.ge\)](#)) საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



4. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან (eschool - იდან) პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. სკოლას ჰყავს 4 წამყვანი და 13 უფროსი მასწავლებელი. სკოლაში პერსონალის მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე. მასწავლებლები, მათი კვალიფიკაციის შესაბამის საგნებს ასწავლიან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედსაბჭოზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი აღნიშნული საკითხი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ დადგენილი წესი ვაკანსიის შესახებ;
- შინაგანაწესი;
- 2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N 66 „, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ“;
- მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- USAID-ის პროექტის ფარგლებში გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი ცნობა;
- პროექტის მასალები;
- ბრძანება ვაკანიაზე
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 1.
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 2.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;



2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებატა დადგენის მიზნით, სკოლაში შექმნილია პერსონალის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. ასევე კათედრების სხდომის ოქმების გაცნობისას ირკვევა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, პროცესის დიაგნოსტიკა და სწავლების ხარისხის შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა გამოვლინებულ საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. წარმომადგენელი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ მასწავლებელი ვალდებულია ყოველ სასწავლო წელს გაიაროს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული სავალდებულო ტრენინგები. სკოლის ბაზაზე მასწავლებლების თანამშრომლობითი კულტურა მაღალია. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, კათედრაზე ერთობლივად გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, მსჯელობენ სწავლა-სწავლების პროცესში რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე, ადგენენ შეფასების რუბრიკებს. მოქმედებს “კრიტიკული მეგობრის” ინსტიტუტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მასწავლებელს, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ დირექციისა და კათედრი რეკომენდაციას. სკოლაში არის მამოტივირებელი გარემო კარიერული ზრდისთვის. თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწავლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის. USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მასწავლებლები გადიან სისტემატურ გადამზადებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი და საგნობრივი კათედრები. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ კათედრის წევრები ქმნიან თანამშრომლობით და კოლეგიალურ საზოგადოებას, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციასა და ინტეგრაციას. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების ერთ-ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. კათედრის სხდომებზე ხდება პედაგოგთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ქმედებების გაწერა კათედრების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება N 21;

- კათედრაზე ურთიერთდასწრების ფორმა;
- პერსონალური მონაცემის დაცვის წესი;
- USAID-ის პროექტის ფარგლებში გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი სერთიფიკატი შეფასება;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის N 1 ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი სკოლას დამტკიცებული აქვს 2024 წლის 17 მაისის N 33 ბრძანებით, ვიზიტის დროს ვერ შემოწმდა დოკუმენტში გაწერილი პროცესების პრაქტიკაში დანერგვის ხარისხი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები, რომელიც აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები კათედრის მუშაობის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა და სხვა დამხმარე პროცესები რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლეების / მშობლების / კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, რომელთა მუშაობის პრინციპიც გაწერილია დებულებით. სამეურვეო საბჭოში შეიძლება გასაჩივრდეს:

- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით;
- სკოლის დირექტორის უარი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე;
- დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ;

სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. სამეურვეო საბჭო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმებით და საჩივარს იხილავს 1 თვის ვადაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელში დეტალურად არის გაწერილი რისი უფლება აქვს თითოეულ მათგანს. ასევე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალებისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულება მასწავლებელთან;
- ხელშეკრულება მშობელთან;
- 2024 წლის 19 ივნისის ბრძანება N 53 „ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დებულება”;
- 2024 წლის 17 მაისის N 33 ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად დამრიგებლები იყენებენ „ მშობლის ბარათს” (კითხვარს), მიღებულ ინფორმაციას აანალიზებენ და რეაგირებენ შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო. დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი და მშობელი. საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ინტერვიუებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმი შეფასება;
- დამრიგებლის პორტფოლიო.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირები, (ბრძანება N 18, 2024. 19.04). სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – შ.ს.ს მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 21 მარტის N 10 ბრძანებით



დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის შენობებში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი და ცეცხლ-მაქრები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან 2024 წლის 16 აპრილს გაფორმებული N ე-208/12 ხელშეკრულება რომლის საგანია ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა. სკოლაში ვიზიტის დროს, ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ ჰქონდა განხორციელებული შენობის შემოწმება. სკოლის მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 179 (22.04.2024 წ). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სკოლის შენობის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) დროს სკოლამ მიიღო რეკომენდაციები. ექსპერტთა ვიზიტის დროს, ზოგიერთი რეკომენდაცია შესრულებული იყო. სკოლა აქტიურად ზრუნავს თითოეული რეკომენდაციის უმოკლეს ვადაში შესრულებაზე.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (16.04.2025 წ) უზრუნველყოს შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და შენობის კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად ვიდუოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა.

სკოლას მიეცა რჩევა: დანიშნოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N 34 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების წესი. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სკოლას საშტატო განრიგით დამტკიცებული ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში / სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი / პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, ამასთან აღნიშნული წესის გათვალისწინებით, სკოლაში სადაც სწავლობს 50 მოსწავლეზე ნაკლები, განსაზღვრულია ექთნის დასაქმება. ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი წესის დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



3. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ნოემბრის N80 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“. სკოლის დერეფნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები. სკოლის ტერიტორიაზე წესრიგს აკონტროლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლება ხდება მხოლოდ მშობელსა და დამრიგებელს შორის თანამშრომლობით. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილებას აკონტროლებენ სკოლის დარაჯები და დამლაგებელი. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ, შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები, სადამრიგებლო საათი ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია “მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“, „ბუნებისმეტყველების“ და სხვა საგნობრივი პროგრამების კურსკულებებში. სკოლის დერეფნებში გამოკრულია ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის

საჯარო სკოლის დირექტორის 23.04.2024 წლის N 22 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით. მონაცემები ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 20 აპრილის N 19 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. სკოლაში მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე - ბეჭდური ფორმატით. პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესია და სკოლა უზრუნველყოფს ყველა წევრის პერსონალური მონაცემების დაცვას.

სკოლას მიეცა რჩევა: დანიშნოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები, პერსონალურ დაცვის კანონის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან შენახულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია გარეშე პირთათვის. სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამა არის ჩატვირთული. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სტრატეგიები და სასკოლო საზოგადოების უფლებები პერსონალური ინფორმაციის თაობაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



8. სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების საკითხები. საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით, მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო მართვის გეგმა;
- საგანგებო მართვის შეთანხმებული წერილი;
- მრჩეველთა საბჭოს ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა;
- საქმისწარმოების წესი;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;
- შენობის ტექნიკური მდგომარეობის(მდგრადობის) შეფასების დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- სახანძრო უსაფრთხოებიდან პასუხი

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 88201552058 - 28.09.2015 წელი) რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია; რაიონი ასპინძა, სოფელი იდუმალა. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 60.04.34. 089. მიწის დაზუსტებული ფართობია; 4650.00 კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სამი შენობა:
 - ობიექტი N1 - სკოლა, ფართი 503,4 კვ.მ;
 - ობიექტი N2 ვიდეოთეკა, ფართი - 45,9 კვ.მ.
 - ობიექტი N3 საპირფარეშო, ფართი - 25,6 კვ.მ.



ამჟამად N1 ობიექტში განთავსებულია სკოლა, ობიექტი N2 გამოიყენება დირექცია ადმინისტრაციის სამუშაო სივრცედ და მასში განთავსებულია სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიისთვის განკუთვნილი კომპიუტერული მოწყობილობები და სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, ხოლო ობიექტი N3 აღარ ფუნქციონირებს, ვინაიდან აშენებულია ახალი საპირფარეო.

2020 წელს მოხდა სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, მოხდა ადაპტირებული სველი წერტილების მიშენება, რამაც გამოიწვია სკოლის შენობის ფართის გაზრდა.

სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, მერხები, სკამები, დაფები, სკოლის ეზო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლაში, საგნობრივი ჯგუფებისათვის განკუთვნილი რესურსები ინახება საკლასო ოთახებში, ვინაიდან შენობას არ აქვს დამატებითი ოთახები, რომლებშიც განთავსდება ლაბორატორიები. სკოლაში სულ 9 საკლასო ოთახია. ირიცხება 17 მოსწავლე და არის 8 ფინანსური კლასი. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 13 მაისის N 15 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შეიძინა საკლასო ოთახებსა და საბიბლიოთეკო სივრცეში სასწავლო რესურსებისა და წიგნადი ფონდის შესანახად კარადები, თაროები. აღსანიშნავია, რომ კარადებს აქვთ საკეტები, რაც რესურსების დაცულობას განაპირობებს.

სკოლას მიეცა რჩევა: განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შენობის აზომვითი ნახაზები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსები საგნობრივი პროგრამების შესაბამისად, გრაფიკული ორგანიზერები, ტაბლოები, წიგნები, ფიგურები და სხვა. რესურსები გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს 15 ლეპტოპი, 7 პერსონალური კომპიუტერი, 2 პროექტორი, 4 პრინტერი. ასევე აღჭურვილია სპორტული ინვენტარით მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკის დაფა და სხვა. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფები, სათავსო - კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, რაც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოედანზე განთავსებულია ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარი. ვიზიტის დროს კალათბურთის ფარი დაზიანებულ მდგომარეობაში იყო. 2024 წლის 29 იანვრის MES 2 24 0000080562

წერილით სკოლამ მიმართა ადგილობრივ რესურსცენტრს ხელოვნურ საფარიანი მოედნის მოსაწყობად დახმარების მისაღებად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 მაისის N 52 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება“. საშტატო განრიგით სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, აღნიშნულ უფლებამოსიანობას ასრულებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი (ანაზღაურების გარეშე). სკოლას ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განთავსებული აქვს ობიექტ N2-ში, დირექცია ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეში. სკოლა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, მცირე რაოდენობის მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ა.შ. სასკოლო სახელმძღვანელოების გაცემას მიღება - ჩაბარების აქტით ამოწმებენ კლასის დამრიგებლები. სკოლას აღრიცხული აქვს წიგნადი ფონდი. ყველა არსებულ წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში მხატვრული წიგნების რაოდენობა მწირია, საჭიროა წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნება. სკოლას ერთწლიან და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული აქვს წიგნადი ფონდის შევსება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება სკოლის პრიორიტეტია. სკოლა ერთსართულიანია. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის სკოლაში. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს სკოლაში შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლისთვის. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, რუკები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია საკლასო ოთახების, საპირფარეშოების აბრები, შემოსასვლელისა და გასასვლელის ნიშნულები. სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ შესაბამის, უსაფრთხო გარემოს. სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საჭიროების მოსწავლე და სკოლას არ აქვს რესურს ოთახი, ამასთანავე სკოლას არ აქვს ფართი (ოთახი), რომელშიც შესაძლებელი იქნება რესურს ოთახის მოწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



5. სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, პრინტერისა და პროექტორის გამოყენებით. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.
- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- პროექტორის მიღება-ჩაბარების აქტი 29;
- სასკოლო დაფების მიღება-ჩაბარების აქტი;
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
- სპორტული მოედნის მოთხოვნის წერილი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 მაისის N 52 ბრძანება;
- ბიბლიოთეკის ფონდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეპტოპები, პრინტერები. სკოლას მიღებული აქვს პორტაბელური კომპიუტერები, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლები და კათედრები. თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით ჩაატაროს გაკვეთილი და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავზოს მოსწავლეებს. ელექტრონული რესურსების გამოყენებით შესრულდეს სხვადასხვა აქტივობა, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს კომპიუტერულ ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N23 23.04.2024წ). ამავე ბრძანებას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის გეგმა.

სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge, eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სამასწავლებლოში განთავსებულია 2 კომპიუტერი, ხოლო ექიმის კაბინეტში პერსონალური კომპიუტერის ერთი კომპლექტი. მასწავლებლებისთვის ასევე ხელმისაწვდომია სკოლაში არსებული ლეპტოპები პრინტერები და

პროექტორები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 მაისის N55 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლას მატერიალური სარგებლობის წესი“. წინამდებარე წესის დამტკიცების მიზანს წარმოადგენს:

- სკოლის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა;
- სკოლის , ფინანსური დანახარჯების შემცირება;
- სკოლის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის გამოყენების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება.

წესი ვრცელდება სკოლის პერსონალზე, მასწავლებლებზე, მოსწავლეებზე და ყველა პირზე, რომლებსაც ეძლევათ დაშვება სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსებზე. სკოლის პერსონალი და თითოეული მოსწავლე ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს როგორც საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილ, ისე უშუალოდ მათთვის გადაცემულ ინვენტარსა და მატერიალურ ფასეულობებს. სკოლის მატერიალური რესურსების დაზიანების ფაქტის დადგენისას კონკრეტული პირის ბრალეულობის გამოკვეთა შესაძლოა გახდეს ამ პირის მიმართ დისციპლინული წარმოების დაწყების საფუძველი. დისციპლინური წარმოების შედეგების მიხედვით, შეძლოა კონკრეტულ პირს მოეთხოვოს სკოლისათვის მიყენებული ზიანის ანაზრაულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
- WI-FI-ის აპარატურის მიღება ჩაბარების აქტი;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 მაისის N55 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლას მატერიალური სარგებლობის წესი“;
- ბრძანება N23 23.04.2024წ „ კომპიუტერულ ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

- სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N 15 ბრძანების დანართი, „საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესით შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს eflow და Eshool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები, იწარმოება და ინახება ბუღალტრული დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლაში შემოსული კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. ენიჭება შემოსული დოკუმენტის ნომერი. ასევე გასულ დოკუმენტს ენიჭება გასული დოკუმენტის შესასბამისი ნომერი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsoft Outlook, საიდანაც იგზავნება და მიიღება საჭირო ინფორმაცია. Eshool-ის სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად, ხდება მონაცემების განახლება და ასახვა ელექტრონულ სისტემებში. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- დირექტორის (10 დეკემბრის) ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*



4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](http://emis.ge). ამჟამად სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის იყენებს Facebook, Teams და Messenger პლატფორმებს. სკოლაში განხორციელებული აქტივობების გაზიარება ხდება სკოლის Facebook გვერდზე, რაიონის ოფიციალური გვერდზე და საგანმანათლებლო პორტალ „ეტალონის“ საშუალებით. ამ უკანასკნელ გვერდს სკოლა აწვდის სკოლაში დაგეგმილი ან განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ეცნობიან მშობლები, მოსწავლეები და საზოგადოების წევრები. სკოლა საჯარო ტიპის ინფორმაციას განთავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად, ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებს აღნიშნულს. სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის Facebook გვერდს. პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ, ამ გვერდზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები,



საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს მატერიალური სახით გამოკითხვისა და უკუკავშირის მიღების გამოცდილება. დამრიგებლები სასწავლო წლის დასასრულს, მშობლებთან ატარებენ ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ინფრასტრუქტურის, შედეგების და სხვა პროცესებთან მიმართებით. მიღებულ ინფორმაციას ახარისხებენ და ითვალისწინებენ შემდგომ საქმიანობაში. სამომავლოდ გეგმავენ გამოკითხვა აწარმოონ ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](https://emis.ge), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 იანვრის N 4 ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის საინფორმაციო პორტალის შექმნასა და ვებ- გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, შინაგანაწესი, კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა. ინფრასტრუქტურისა და განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა. ვებ - გვერდზე ინფორმაცია განახლებადია, სკოლა გეგმავს განათავსოს პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინფორმაციო მენეჯერის დანიშვნის ბრძანება;
- სკოლის ვებ გვერდზე(პორტალზე) პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება.
- სკოლის ვებ - გვერდი [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](http://emis.ge)
- დამრიგებლის პორტფოლიო

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
